საქართველოს ყურძნის ექსპორტი და იმპორტი 2009-2018 წწ.-ში

გოჩა ჩადუნელი
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: gocha.chaduneli@gmail.com

რეზიუმე

სტატიაში "საქართველოს ყურძნის ექსპორტ-იმპორტი 2009-2018 წწ.-ში" გაანალიზებულია შესაბამის პერიოდში საქართველოს ახალი და ხმელი ყურძნის ექსპორტი და იმპორტი მათი ძირითადი ტენდენციების გამოკვლევის კუთხით. სტატიაში სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდზე არსებული სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე აღწერილია საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის დარგებში შექმნილი მდგომარეობა და მოცემულია სარეკომენდაციო დასკვნები სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებებზე, რომლებიც უფრო ეფექტიანს და კონკურენტუნარიანს გახდის მევენახეობას მისი პროდუქტის ბაზარზე ორიენტირებულობითა და კონკურენტული უპირატესობის მოპოვებისა და შენარჩუნების გზით. ასევე ნაშრომი აჩვენებს, რომ საჭიროა ყურძნის ექსპორტისა და იმპორტის მონაცემების დროითი დინამიკის ტენდენციის ნებისმიერი მკვეთრი ცვლილება უნდა გახდეს ანალიზის საგანი, რითაც შემდეგ შემუშავდება მოქმედების გეგმა და განხორციელებული იქნება შესაბამისი ღონისძიებები და ქმედებები.

საკვანძო სიტყვები: ექსპორტი, იმპორტი, მაჩვენებლების დინამიკა, სოფლის მეურნეობა, მევენახეობა, მეღვინეობა, საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაცია, ეროვნული საგადამხდელო ბალანსი, კონკურენტუნარიანობა, კონკურენტული უპირატესობა, ხილის საშრობი და სამაცივრე საწარმოები.

საქართველოს სოფლის მეურნეობას ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების, დიდი ისტორიული წარსულისა და მისი მოსახლეობის ყოფის გათვალისწინებით - ისევე როგორც ბევრი სხვა ქვეყნისათვის - [7] განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. როგორც ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგებს, ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობას აქვს სავაჭრო კავშირი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ მეურნეობებთან, რისი შემადგენელი ძირითადი ნაწილებია ექსპორტი და იმპორტი [8]. აღსანიშნავია, რომ წინაისტორიული პერიოდის არქეოლოგიური მონაცემებითა და ისტორიული წყაროებით დასტურდება ის ფაქტი, რომ ჩვენს წინაპრებს ჰქონდათ ეკონომიკური ურთიერთობა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონთან [2]. სოფლის მეურნეობის პროდუქტების - ისევე როგორც სხვა საქონლის - ექსპორტი და იმპორტი ყოველთვის დაკავშირებული იყო ქვეყნის გეოგრაფიასა და მის კონკურენტულ უპირატესობასთან [4]. ყურძენი, როგორც მევენახეობის პროდუქტი უშუალო კავშირშია მეღვინეობასთან და მისი ექსპორტისა და იმპორტის ანალიზი საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ საქართველოს როგორც ქვეყნის მწარმოებელური და სამომხმარებლო ასპექტები, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს შესაბამისი დასკვნები არსებულ სიტუაციაზე და მოხდეს გარკვეული რეკომენდაციების გაწევა ეკონომიკისა თუ ბიზნესის ორიენტირების განსასაზღვრად [1] და ქართული მევენახეობისა და შესაბამისად მეღვინეობის მდგრადი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის [3].

ყურძენი შედის საერთაშორისო ვაჭრობის სტანდარტული კლასიფიკაციის (**SITC**) 0 სექციაში - საკვები პროდუქტები და ცოცხალი ცხოველები. ყურძენი საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სასაქონლო ნომენკლატურაში ერთიანდება ოთხ თანრიგში – 0806, რომელიც თავის მხრივ სასაქონლო პოზიციების მიხედვით იყოფა - ექვსი თანრიგის პირობებში - ახალ ყურძნად და ხმელ ყურძნად - შესაბამისი კოდებით 080610 და 080620. ამ კლასიფიკაციითვე საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (შემდგომში - სსეს) ვებ-გვერდის ინფორმაციის მიხედ-

ცხრილი 1. საქართველოს ყურძნის იმპორტი 2009-2017 წწ. (1000 აშშ დოლარი)

პერიოდი (წელი)	ახალი ყურძენი (080610)	ხმელი ყურძენი (080620)
2009	191,4	974,0
2010	0,0	1311,3
2011	2,3	1683,1
2012	339,3	1649,4
2013	1219,6	1701,6
2014	2125,1	1633,4
2015	1342,4	1434,0
2016	1309,2	1686,2
2017	1195,5	1573,0
2018	1756,3	2049,2

ვით მოხდა ყურძნის ექსპორტისა და იმპორტის ანალიზი, რომელიც მოიცავს 2009-2018 წწ.-ის მონაცემებს. რადგან როგორც აგროპროდუქციის ბევრ სახეობას, ყურძნის ნაყოფსაც აქვს თავის მოსავლის დრო, რაც გავლენას ახდენ მის ბაზარზე მიწოდებაზე [6]. ყურძნის მიწოდებაზე ასევე მოქმედებს მისი სამაცივრე-შესანახი და საშრობი მოწყობილობების ინფრასტრუქტურა. ამ ზემოქმედებათა გასათვალისწინებლად და ქართულ სინამდვილეში უკეთ გასარკვევად ასევე მოხდა ყურძნის ექსპორტ-იმპორტის გაანალიზება 2009-2018 წწ.-ის თვეების მიხედვით. უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის აპრილის მდგომარეობით სსეს-ს 2018 წლის ინფორმაცია წინასწარი მონაცემების გრიფით აქვს ვებ-გვერდზე წარმოდგენილი. უნდა აღინიშნოს, რომ მონაცემები მოცემულია ღირებულებით გამოხატულებაში, სადაც აღრიცხვის საწყის ერთეულად მოცემულია 1000 აშშ დოლარი და არაა გათვალისწინებული თავად აშშ დოლარის საკურსო ცვლილებანი.

ცხრილ 1-ში მოცემულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2009-2018 წლებში საქართველოში განხორციელებულ ყურძნის იმპორტზე [10]. ყურადღებას იპყრობს წლების მიხედვით ხმელი ყურძნის იმპორტის მოცულობის მეტობა ახალ ყურძენთან მიმართებაში. ჩვენი აზრით ეს განპირობებული უნდა იყოს საქართველოში საჩამიჩე (საქიშმიშე) ყურძნის ვენახების შედარებით მცირე ფართობებითა და ყურძნისა და სხვა საკვები პროდუქტების საშრობი საწარმოების შედარებითი სიმცირით. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ზოგადად საქართველოში უმეტესად საღვინე მიმართულების ვენახებია გაშენებული.

გრაფიკ №1-ში გრაფიკულად არის მოცემული საქართველოს ყურძნის იმპორტის დინამიკა 2009-2017 წწ.-ში [10]. მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ 2014 წლისათვის შეიმჩნევა ახალი ყურძნის იმპორტის მკვეთრი ზრდა, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს რუსეთის მხრიდან ქართული ღვინოებისათვის „სანიტარული ემ-





ბაროგოს" მოხსნასთან, როდესაც საქართველოს რიგ კომპანიებს რუსეთის სანიტარული სამსახურის „ინსპექციის" შედეგად მიეცათ რუსეთში ალკოჰოლური სასმელების შეტანის საშუალება, რასაც სავარაუდოდ პოლიტიკური მიზეზების გარდა - მაგალითად, საქართველოს მთავრობის მკვეთრი განცხადებების შერბილება რუსეთის მისამართით და რუსული პოლიტიკის დასავლეთ მიმართულებით ექსპანსიის ვექტორის გაძლიერება - ის ბიზნეს-ინტერესიც ჰქონდა, რომ რუსეთის რიგი მეწარმეები პირდაპირ თუ ირიბად ფლობენ წილებს ქართულ ალკოჰოლურ წარმოებაში ამავე გრაფიკში ჩანს 2015 წელს ახალი და ხმელი ყურძნის იმპორტის მოცულობების ერთმანეთთან დაახლოება, თუმცა 2016-2018 წწ.-ში ორივე სიდიდეს ერთმანეთის მსგავსი განვითარების ტენდენცია ჰქონდათ.

გრაფიკ №2.-ში მოცემულია საქართველოში 2009-2018 წწ.-ში განხორციელებული ყურძნის იმპორტის დინამიკა წერტილ-ტეხილოვანი დიაგრამის სახით [10]. გრაფიკი თვალსაჩინოთ ასახავს ხმელი და ახალი ყურძნის იმპორტის მოცულობებს და ზოგადად ამ პროცესის სეზონურობას. სეზონურთან ერთად იმპორტზე გავლენას ასევე ახდენს საქართველოს ვენახების სახეობები და ასევე ყურძნის შესანახი ანდა გადამამუშავებელი წარმოების საწარმოო სიმძლავრეები. აღსანიშნავია, რომ 2009-2018 წწ. საქართველოში ხმელი ყურძნის იმპორტი ხორ-

ცხრილი 2. საქართველოს ყურძნის ექსპორტი 2009-2018 წწ. (1000 აშშ დოლარი)

პერიოდი (წელი)	ახალი ყურძენი (080610)	ხმელი ყურძენი (080620)
2009	4,13	0,00
2010	0,31	5,60
2011	8,03	0,00
2012	38,41	0,37
2013	26,61	144,84
2014	40,30	0,00
2015	135,21	0,00
2016	155,58	0,03
2017	97,96	0,15
2018	816,88	1,39

გრაფიკი №3. საქართველოს ყურძნის ექსპორტი 2009-2018 წწ. (1000 აშშ დოლარი)



ციელდებოდა შედარებით სტაბილურად, მხოლოდ ზაფხულის თვეში იყო შემცირებები, რაც ასევე დაკავშირებული უნდა იყოს მომხმარებლების უპირატესად სეზონზე დამოკიდებულ კულინარიულ გადაწყვეტილებებზე. კიდევ სინტერესოა, რომ ბოლო წლების საქართველოში ახალი ყურძნის იმპორტი - იმის გარდა, რომ ზამთრისა და გაზაფხული თვეებში ერთგვარად გაზრდილია ხოლმე - იზრდება შემოდგომის თვეებში, როდესაც ჩვენთან ისედაც ბევრი ყურძენი მიეწოდება ბაზარს და აქ ზეგავლენა უნდა ჰქონდეს 2014 წლის რუსეთის მიერ „სანიტარული ემბარგოს" მოხსნის ფაქტორს და იმას, რომ ბევრ მეზობელ ქვეყანასთან შედარებით ქართულ ღვინოსა და სხვა ალკოჰოლურ სასმელებს აქვთ კონკურენტული უპირატესობა, რომელთა წარმოებისათვისაც სავარაუდოდ გამოიყენება ეს იმპორტირებული ახალი ყურძენი.

თუმცა ამ კუთხით ასევე გასათვალისწინებელია ადგილწარმოშობის ღვინოებისა და ცქრიალა ღვინოების ფალსიფიკაციის თემები.

ცხრილ 2.-ში მოცემულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები 2009-2018 წლებში საქართველოში განხორციელებულ ყურძნის ექსპორტზე. ყურადღებას იპყრობს წლების მიხედვით ახალი ყურძნის ექსპორტის მოცულობის მეტობა ხმელ ყურძენთან მიმართებაში. ჩვენი აზრით ეს განპირობებული უნდა იყოს საქართველოში საჩამიჩე (საქიშმიშე) ყურძნის ვენახებისა და ყურძნის საშრობების შედარებითი სიმცირითა და ასევე იმასთან, რომ ზოგადად საქართველოში უმეტესად საღვინე მიმართულების ვენახებია გაშენებული.

გრაფიკ №3.-ში გრაფიკულად არის მოცემული საქართველოს ყურძნის ექსპორტის დინამი-

გრაფიკი №4. საქართველოს ყურძნის ექსპორტი 2009-2018 წწ.-ის თვეების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)



კა 2009-2018 წწ.-ში [10]. 2018 წელს ხმელი ყურძნის ექსპორტის ზრდაც დადებით ტენდენციად უნდა იქნას მიჩნეული. მნიშვნელოვანი მომენტია ის, რომ 2013 წელს შეიმჩნევა ხმელი ყურძნის ექსპორტის მკვეთრი ზრდა, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს რეექსპორტით; ყოველ შემთხვევაში ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემები მეტის თქმის საშუალებას არ გვაძლევენ ამ კუთხით. 2015 წლიდან ასევე ხდება ახალი ყურძნის ექსპორტის მკვეთრი ზრდა, რაც შეიძლება კავშირში იყოს ყურძნის წარმოების ზრდასთან და საქართველოს ალკოჰოლური პროდუქტების საერთაშორისო ბაზრების რიგ სეგმენტებში გაყიდვების შემცირებასთან.

ზოგადად, ვფიქრობთ, რომ ნებისმიერ მკვეთრი ცვლილება ყურძნის – ასევე ნებისმიერი სხვა პროდუქტის – ექსპორტის, იმპორტის და ასევე წარმოების მაჩვენებლებში მოითხოვს ანალიზურ რეაგირებას, რაც აუცილებელია, რათა დავიდან იქნას აცილებული როგორც ეკონომიკური სახის პრობლემები, ასევე რისკები კანონმდებლობის (მაგ. საგადასახადო, სტანდარტებისა და ა.შ.) დარღვევის კუთხით.

გრაფიკ №4.-ში წარმოდგენილია საქართველოს ყურძნის ექსპორტი 2009-2018 წწ.-ის თვეების მიხედვით [10]. მონაცემების მიხედვით 2013 წლის შემოდგომის აგვისტოსა და სექტემბრის თვეებში მოხდა ხმელი ყურძნის ექსპორტის ზრდა, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს: ა) რეექსპორტთან და ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური აღრიცხვის ანალიზური კუთხით ნაკლოვანებებთან; ბ) ყურძნის მწარმოებლებისა და ქართული ალკოჰოლური სასმელების მწარმოებლების მაშინდელ მოლოდინებთან, რომ გაუჭირდებოდათ პროდუქციის გაყიდვა რუსული „სანიტარული ემბარგოს" გამო; გ) ყურძნის შემნახველი ანდა საშრობი საწარმოო სიმძლავრეების დროებით ზრდასთან. გრაფიკი გვიჩვენებს, რომ მაჩვენებლებს დიდი გაფანტულობის დიაპაზონის მუხედავად, მსგავსი სიდიდეები აქვთ, და თავდაპირველი თითქმის ხაზოვანი დიაგრამის შემდეგ 2013 წლიდან ახალი და ხმელი ყურძნის სიდიდეები ტეხილის ფორმას იღებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეტად მნიშვნელოვანია, რომ გასათვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ საქართველოს ვენახების დიდი უმრავლესობა საღვინე მიმართულებისაა, მაგრამ ასევე მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ბოლო წლებში კერძო ბიზნესისა და ფერმერების მხრიდან ხორციელდებოდა და ახლაც მიმდინარეობს სასუფრე - მათ შორის საჩამიჩე ანუ საქიშმიშე - ყურძნის ჯიშების ვენახების გაშენება, რაც გავლენას ახდენა და მოახდენს ახალი და ხმელი ყურძნის შიდა წარმოებასა და ქვეყნიდან ექსპორტზე. ამ ფაქტორს აძლიერებს ხილის შესანახი სამაცივრე მეურნეობებისა და ხილის საშრობი წარმოებების საწარმოო სიმძლავრეების ზრდა კერძო ინვესტიციების, სახელმწიფო და ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტების გამო. ასევე საფიქრალია ის, რომ ქართულ პროდუქციას აქვს ევროპაში გატანაზე რაღაც შეღავათები, რაც შესაძლოა ადგილობრივი წარმოების გარდა ხელს უწყობდეს ხმელი ყურძნის ექსპორტად „მიჩნეულ" რეექსპორტსაც. ამასთან, 2018 წელს ახალი ყურძნის ექსპორტის მკვეთრი ზრდა სავარაუდოდ ასახავს ან სუფრის ყურძნის შესანახი და საშრობი ინფრასტრუქტურის არასაკმარის განვითარებას მის წარმოებასთან მიმართებაში ან/და საღვინე ყურძნის ღვინოდ გადამამუშავებელი მრეწველობის პრობლემებს ღვინის გაყიდვაში.

დასკვნა

აქ განხილული ინფორმაციის, მაჩვენებლებისა და მონაცემების საფუძველზე, ყურძნის და ღვინის ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის მისაღწევად [9] და ეროვნული საგადამხდელო ბალანსის მიზნებიდან გამომდინარე შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი სახის დასკვნები:

- საქართველოს მევნახობა საჭიროებს სასუფრე - მათ შორის საჩამიჩე - ტიპის ვაზის მარკეტინგულად უფრო მომგებიანი ჯიშების შერჩევასა და მეტ ფართებზე გაშენებას;
- აუცილებელია მოხდეს ხილის შესანახი სამაცივრე მოწყობილობების, შოკური გაყინვისა და ხილის შრობის წარმოების მოცულობების ზრდა სეზონურობის და სხვა ფაქტორების უარყოფითი ზეგავლენისაგან დასაცავად;
- საჭიროა გაიმიჯნოს სტატისტიკური აღრიცხვისა და სახელმწიფო და საჯარო პოლიტიკის კუთხით სუფრის - მათ შორის საჩამიჩე - და საღვინე-საწვენე ყურძნის წარმოებები ყურძნის ჯიშობრივ დონემდე;
- ნებისმიერ მკვეთრი ცვლილება ყურძნის ექსპორტის, იმპორტის და ასევე წარმოების სტატისტიკურ მონაცემებში საჭიროებს ანალიზსა და შესაბამის რეაგირებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) აბრალავა ა., ჯორბენაძე ზ. 2016. ეკონომიკური ანალიზი. თბ. 364 გვ.;

2) ჩანტლაძე ვ., ფულის, კრედიტისა და ფინანსების ისტორია. I-II-III ნაკვეთი. 1986-1987. თბ., სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა;

3) ბარათაშვილი ე., გეჩბაია ბ., ღლონტი ვ. 2012. საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა: თანამედროვე გამოწვევები. თბ. გამომც. უნივერსალი. 206 გვ.

4) სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ. (ტომი I). 1938. თბ. 328 გვ.;

5) ხარაიშვილი ე. 2011. კონკურენციისა და კონკურენტუნარიანობის პრობლემები საქართველოს აგროსასურსათო სექტორში. თბ. გამომც. უნივერსალი. 196 გვ.;

6) Evenson Robert E. Pingali Prabhu. 2007. Handbook of Agricultural Economics, Volume 3. Agricultural Development: Farmers, Farm Production and Farm Markets. 1st Edition. (Series: Handbooks in Economics). Elsevier' s Imprint - North-Holland Publishing Company. P. 846.;

7) Krugman P.(ed.). 1990. Geography and Trade. Cambridge(Mass). Cambridge University.;

8) Pingali Prabhu L., Evenson Robert E. 2010. Agricultural Economics. North-Holland - Elsevier. pp.3035-3890.;

9) Porter M. E. 1990. The Competitive Advantage of Nations. New York: Free Press-a Division of Simon & Schuster Inc.;

10) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ-გვერდი: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=244&lang=geo

EXPORT AND IMPORT OOF THE GRAPES OF GEORGIA IN 2009-2018

GOCHA CHADUNELI
PhD Student of GTU
E-mail: gocha.chaduneli@gmail.com

Summary

In the article "Export and Import of the Grapes of Georgia 2012-2018" is analyzed the export and import of the fresh and dried grapes of Georgia for the relevant period in terms of their main trends.

The situation in the field of viticulture and winemaking is described in the article on the basis of the statistical data on the website of the National Statistics Office of Georgia and there is provided recommendations on the measures to be implemented by the state and private sector, which will make more efficient and competitive the viticulture through the market orientation of its product and through gaining and maintaining the competitive advantage.

Also, the work shows that any sharp change in the trend of time dynamics of the data of the export and import of grapes should be the subject of analysis, which will be followed by an action plan and appropriate measures and actions will be implemented.

Keywords: Export, Import, Dynamics of Indicators, Agriculture, Viticulture, Winemaking, Standard Classification of International Trade, National Payment Balance, Competitiveness, Competitive Advantage, Fruit Drying & Refrigeration Enterprises.